

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2013 წლის 19 თებერვალი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 21 დეკემბრის №43 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 18/01/2012; 010260050.35.148.016087) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	21,637.0	43,123.0	27,187.9	15,935.1	17,066.9	0.0	17,066.9
გადასახადები	2,602.0	2,300.0	0.0	2,300.0	2,300.0	0.0	2,300.0
გრანტები	16,479.3	37,927.7	27,187.9	10,739.8	12,166.9	0.0	12,166.9
სხვა შემოსავლები	2,555.7	2,895.3	0.0	2,895.3	2,600.0	0.0	2,600.0
ხარჯები	15,720.4	36,277.9	18,771.9	17,506.0	16,328.1	1,638.3	14,689.8
შრომის ანაზღაურება	2,055.6	2,305.2	0.0	2,305.2	3,226.5	0.0	3,226.5
საქონელი და მომსახურება	4,495.7	5,910.5	1,976.9	3,933.6	4,064.6	15.5	4,049.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	114.7	95.6	0.0	95.6	74.1	0.0	74.1
სუბსიდიები	4,054.2	5,863.1	1,500.0	4,363.1	5,450.3	0.0	5,450.3
გრანტები	3,200.0	5,720.0	0.0	5,720.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	547.5	670.3	0.0	670.3	781.0	0.0	781.0
სხვა ხარჯები	1,252.7	15,713.2	15,295.0	418.2	2,731.6	1,622.8	1,108.8



საოპერაციო საღდო	5,916.6	6,845.1	8,416.0	-1,570.9	738.8	-1,638.3	2,377.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,288.3	13,466.5	13,454.8	11.7	2,485.2	246.9	2,238.3
ზრდა	3,765.7	14,658.9	13,454.8	1,204.1	2,885.2	246.9	2,638.3
კლება	1,477.4	1,192.4	0.0	1,192.4	400.0	0.0	400.0
მთლიანი საღდო	3,628.3	-6,621.4	-5,038.8	-1,582.6	-1,746.4	-1,885.2	138.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,481.4	-6,761.6	-5,038.8	-1,722.8	-1,908.1	-1,885.2	-22.9
ზრდა	4,729.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	4,729.4	0.0			0.0		
კლება	1,248.0	6,761.6	5,038.8	1,722.8	1,908.1	1,885.2	22.9
ვალუტა და დეპოზიტები	1,248.0	6,761.6	5,038.8	1,722.8	1,908.1	1,885.2	22.9
ვალდებულებების ცვლილება	-146.9	-140.2	0.0	-140.2	-161.7	0.0	-161.7
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	146.9	140.2	0.0	140.2	161.7	0.0	161.7
საშინაო	146.9	140.2	0.0	140.2	161.7	0.0	161.7
ბალანსი	0.000	0.000	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16,328.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით“:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	15,720.4	36,277.9	18,771.9	17,506.0	16,328.1	1,638.3	14,689.8
შრომის ანაზღაურება	2,055.6	2,305.2	0.0	2,305.2	3,226.5	0.0	3,226.5
საკონელი და მომსახურება	4,495.7	5,910.5	1,976.9	3,933.6	4,064.6	15.5	4,049.1
პროცენტი	114.7	95.6	0.0	95.6	74.1	0.0	74.1
სუბსიდიები	4,054.2	5,863.1	1,500.0	4,363.1	5,450.3	0.0	5,450.3
გრანტები	3,200.0	5,720.0	0.0	5,720.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	547.5	670.3	0.0	670.3	781.0	0.0	781.0
სხვა ხარჯები	1,252.7	15,713.2	15,295.0	418.2	2,731.6	1,622.8	1,108.8



გ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2485.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2,885.2 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	147.5	211.7	20.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	341.0	25.5	
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2,478.6	12,824.7	1,220.2
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	4.8	15.0	378.0
05 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	793.8	1,582.0	1,242.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	25.0
სულ ჯამი		3,765.7	14,658.9	2,885.2

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 400.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1477.4	1192.4	400.0
ძირითადი აქტივები	1477.4	1192.4	400.0

დ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით“:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2011 ფაქტი	2012 გეგმა	2013 გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,743.4	8,876.4	3,830.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,417.5	3,057.8	3,756.5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,417.5	3,040.8	3,656.5



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	17.0	100.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება			
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	114.7	95.6	74.1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	3,211.2	5,723.0	0.0
702	თავდაცვა	322.3	130.9	168.4
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	837.0	746.4	606.5
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	412.7	270.9	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	424.3	475.5	606.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,325.6	15,640.0	2,972.9
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა			
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	632.6	4,335.5	341.8
70421	სოფლის მეურნეობა	632.6	4,335.5	341.8
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
70443	მშენებლობა	233.0		
7045	ტრანსპორტი	1,589.3	7,850.8	960.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,584.5	7,800.8	960.8
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	4.8	50.0	0.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,103.7	3,453.7	1,670.3
705	გარემოს დაცვა	784.9	892.6	1,430.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	721.6	784.3	1,373.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	63.3	108.3	57.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა			
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,867.2	13,335.8	1,230.1
7061	ბინათმშენებლობა	803.2	10,027.7	36.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	34.8	29.4	373.3
7063	წყალმომარაგება	60.0	70.4	38.0
7064	გარე განათება	630.2	971.6	680.7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,339.0	2,236.7	102.1



707	ჯანმრთელობის დაცვა	116.6	125.3	195.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0.0	5.3	75.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	116.6	120.0	120.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,964.2	7,950.7	6,336.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,242.3	4,644.4	2,257.6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,691.9	3,146.3	4,049.2
7083	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	30.0	30.0	30.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	130.0	0.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
709	განათლება	969.6	1,030.5	1,738.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	964.2	1,030.5	1,738.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	5.4	0.0	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			
710	სოციალური დაცვა	555.3	2,208.2	705.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	152.0	183.7	270.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	31.0	91.2	160.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	121.0	92.5	110.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	4.8	4.8	6.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	3.0	2.0	5.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	10.5	44.2	52.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	1,636.0	10.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	385.0	337.5	362.0
	სულ ჯამი	19,486.1	50,936.8	19,213.3

ე) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვის სამსახურის ტექნიკური ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. არსებული რესურსების ფარგლებში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და პერსონალის სიცოცხლის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)



ხანძრების და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სახანძრო დაცვის სამსახურს ტექნიკური ინვენტარით და სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვას, პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარებას მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად და ასევე უზრუნველყოფს პერსონალის სიცოცხლის დაზღვევას.

1.2. თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართლება გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა. გორის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-შენახვა, ქ. გორში ცენტრალური ქუჩების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა ქალაქის დაზიანებული ქუჩების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე და მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია.

2.1.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-შენახვა, ქ. გორში ცენტრალური ქუჩების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა ქალაქის დაზიანებული ქუჩების ორმოული შეკეთება, მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია.

2.1.2. ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზამთრის სეზონზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულებთა უსაფრთხო გადაადგილების და ქუჩებში შეფერხებული მოძრაობის თავიდან აცილების მიზნით ტექნიკური მარილის შეძენა და ქუჩების დამუშავება.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, გორის მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების განათების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.



დაგეგმილია მტკვრის, მეჯუდის, ლიახვის ხიდების განათების ექსპლოატაცია და ასევე თეატრის სკვერის, ჭალის, კვერნაკის, ვოლოგდის დასახლებების, ნადირაძის ქუჩის, რომელაშვილების სახელობის ცენტრალურ შადრევანთან, ბარათაშვილის, რუსთაველის, შიოს წყაროსთან სკვერების განათებების ექსპლოატაცია.

ქალაქის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია შენობების და ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება (პერიოდულად). ასევე გათვალისწინებულია დამატებით ურნების შეძენა ქალაქისათვის და სოფლებისათვის.

2.2.3. სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. გორში სამეფოს, გურამიშვილის, დ. ამილახვრის, თამარ მეფის, აღმაშენებლის, ქ. წამებულის, ბაგრატიონის, ნინოშვილის, მელიქიშვილის, შარტავას, ეკ.ჯუღაშვილის, კახნიაშვილის, სტალინის, კეცხოველის, გაბაშვილის, გორიჯვრის, თრიალეთის და სხვა ქუჩების მიმდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები (15 დღეში ერთხელ).

2.2.4. წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

განხორციელდება დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება გორის მუნიციპალიტეტის მიერ.

2.2.5. სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მდინარე ტორტლას კალაპოტის გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსება.

2.2.6. საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით და მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

2.2.7. გორის მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების სააგენტო (პროგრამული კოდი 03 02 10)

გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერა

2.2.8. ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 11)



გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით გორის მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

2.2.9. ამხანაგობების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და მათი მიმდებარე ფართობების ინფრასტრუქტურის განვითარებას. გარდა ამისა ქვეპროგრამით იგეგმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეთა სტიმულირებისათვის შრომის ანაზღაურება.

2.2.10. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შეკეთება, განათებების მოწყობა და ლიფტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გასულ წელს აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით ქ.გორში ყიფიანის ქუჩის №33 საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციის დასრულება. ამასთან დაკავშირებით, დაზიანებული ბინის მაცხოვრებელთა ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურება (ბინის ქირა). ასევე გათვალისწინებულია ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულება.

2.2.11. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება (პროგრამული კოდი 03 02 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გასულ წელს აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით სახურავების რეაბილიტაციის დასრულება.

2.3. სანერგე მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის „გორის სანერგე მეურნეობის“ სუბსიდირება გარემოს და ბუნებათ სარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის(ნერგის) გამოყვანის უზრუნველსაყოფად.

2.4. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და გაზონების მოვლა-შენახვა და რეკონსტრუქცია, ასევე შადრევნების, მოსაცდელების, მემორიალური დაფების, ეზოების, სპორტული მოედნების მოვლა-შენახვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

2.4.1. საახალწლოდ ქალაქის მორთვის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04 01)

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად ქალაქ გორის გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

2.4.2. შადრევნის მოვლა-შენახვის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.4.3. სკვერების და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 04 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია „მუნიციპალიტეტის გამწვანების“ სამსახურის მიერ სკვერების და



გაზონების მოვლა, ახალი მწვანე ნარგავების შეძენა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება და საჭიროების შემთხვევაში სკვერების რეკონსტრუქცია. ასევე გათვალისწინებულია დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები.

გამწვანების სამუშაოების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ სატვირთო ავტომანქანის შეძენა.

2.4.4. მოსაცდელის მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 04 04)

გათვალისწინებულია ქალაქ გორის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელის მოვლა-პატრონობა და საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაცია.

2.4.5. ქალაქ გორის მწვანე ნარგავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 05)

გათვალისწინებულია ქალაქ გორის ტერიტორიაზე დაზიანებული მწვანე ნარგავების ახლით შეცვლა.

2.4.6. მემორიალის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 06)

გათვალისწინებულია ქ. გორში ცნობილი და წარმატებული მოქალაქეების მემორიალური დაფების მოწყობა მათი სახელების უკვდავსაყოფად.

2.4.7. სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 04 08)

დაგეგმილია სპორტული მიწის მოედნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

2.4.8. დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურება (პროგრამული კოდი 03 04 09)

გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოთაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.4.9. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 04 10)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში კოოპერატივების ხელშეწყობა.

2.5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასულ წელს აღებული ვალდებულებების ფარგლებში გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება, ასევე რიტუალების სახლებისათვის შენობის, ინვენტარისა და ჭურჭლის შეძენა და სანიაღვრე არხის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)



გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 46 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 2500 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია ვაუჩერული სისტემით, კერძოდ: 1-დან 50 ბავშვის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 50 ლარი თვეში, ხოლო ყოველ მომდევნო ბავშვზე 30 ლარი თვეში. იმ საბავშვო ბაღებში სადაც 10 ბავშვი ირიცხება ნაცვლად 500 ლარისა აუნაზღაურდება 750 ლარი. ვაუჩერის მთლიანი ოდენობა აუნაზღაურდება იმ შემთხვევაში თუ მშობლის მიერ გადახდილი იქნება დაწესებული გადასახადის სრული ოდენობა. ნახევარის გადახდის დროს აუნაზღაურდება ნახევარი ვაუჩერი. აღნიშნული ქვეპროგრამით გორის მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, ჭიდაობის კომპლექსური სპორტული და კრივის სპეციალიზირებული სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. განხორციელდება სხვადასხვა სპორტული შეკრებების და შეჯიბრების ორგანიზება და დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით.

4.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და მოღვაწე წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე დაგეგმილია ჭიდაობის, კრივის, ფეხბურთის და სპორტის სხვა სფეროში წარმატებული, გორის ტერიტორიაზე მცხოვრები და მოღვაწე სპორტსმენების და მწვრთნელების დაჯილდოვება.

4.1.2. სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, კრივის სპეციალიზირებული და საჭიდაო კომპლექსური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. სკოლებში 950-მდე მოსწავლე სწავლობს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კალენდარულ ტურნირებში და აღწევენ მაღალ შედეგებს. ასევე გათვალისწინებულია კრივის სკოლის სახურავის და საჭიდაო სკოლის დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

4.1.3. საჭიდაო დარბაზის მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე დაგეგმილია ქალაქში ჭაღის დასახლების ტერიტორიაზე საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ტრადიციების შენარჩუნებას, არამედ გაზრდის ამ სახეობის სპორტსმენთა რაოდენობას და სპორტულ შედეგებს.

4.1.4. საცურაო აუზის რეაბილიტაცია და მოცურავე თანრიგოსან ბავშვთა სპორტული ჯგუფის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)



ცურვის მიმართულებით გამორჩეული სპორტული მონაცემების მქონე მოზარდთა სპორტული წარმატებების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მოცურავეთა სპორტული ჯგუფის დაფინანსება, რათა მათ ქონდეთ სათანადო სავარჯიშო პირობები საცურაო აუზზე. სპორტული ჯგუფი დაკომპლექტებულია 34 თანრიგოსანი მოზარდით. ასევე იგეგმება საცურაო აუზის სახურავის რეაბილიტაცია.

4.1.5. საფეხბურთო კლუბი „დილა“ (პროგრამული კოდი 05 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საფეხბურთო კლუბი „დილას“ ადმინისტრაციის მიმდინარე ხარჯების სუბსიდირება. საფეხბურთო კლუბი „დილასთან“ ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა და სტადიონი, რომელთა მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური და სპორტული ღონის ამაღლება აღსაზრდელებში, პერსპექტიული სპორტსმენების მზადება ნაკრები გუნდებისათვის და სათანადო სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება კლუ

4.1.6. სპორტული ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 08)

დაგეგმილია სპორტული ცენტრის სრულად აღჭურვა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით, რათა სრულად განახორციელოს სპორტული ღონისძიებების და ცენტრალური სასპორტო სკოლის, საჭიდაო სკოლის, კრივის სკოლის და ტურისტული ცენტრი „ტონთიოს“ აღსაზრდელთა სხვა და სხვა ტურნირებში, ლაშქრობებში, ალპინიადებში და ჩემპიონატებში მონაწილეობის ორგანიზება.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს 6 სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. გორის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისათვის და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს დაფინანსებას ნიჭიერი ახალგაზრდებისა და ხელოვანების ხელშეწყობის მიზნით, რათა მათ შეძლონ შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

4.2.2. სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს 6 სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. სამუსიკო სკოლები დაკომპლექტებულია 850-მდე მოსწავლით, ხოლო სამხატვრო სკოლა 130-მდე მოსწავლით. ასევე იგეგმება სამხატვრო სკოლის და ქალაქ გორის სამუსიკო სკოლის შენობების რეაბილიტაცია.

4.2.3. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის მიერ ინტელექტუალური ღონის ამაღლების, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვისათვის ხელშეწყობა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და არსებული წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

4.2.4. მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის და კულტურის სახლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალგაზრდები-სათვის იმ ცოდნისა და ქცევის ნორმების შეძენას რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს მოზარდთა ინტერესების შესაბამიად სამეცნიერო-შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური მიმართულებებით მოქნილი პროგრამების შემუშავება-განხორციელებას და აქტიური ინტელექტუალური ახალგაზრდების გამოვლენას. ასევე პროგრამა ხელს უწყობს მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნას დღესასწაულების მიმართ, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ცენტრი უზრუნველყოფს სხვა და სხვა სადღესასწაულო დღეებში გასართობი სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებას. გარდა ამისა გათვალისწინებულია სოფლის კულტურის სახლების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება.

4.2.5. ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვა მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა - შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას. გარდა ამისა იგეგმება მუზეუმში 9 სახელოსნოს მოწყობა, საპირფარეოს მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა. ასევე ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და სტალინის ძეგლის დადგმის ღონისძიებები.

4.2.6. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ცენტრის შენობის დაცვა.

4.2.7. მწერალთა სახლის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი სადამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით, ასევე გათვალისწინებულია ლიტერატურული ჟურნალის ინტერნეტ ვერსიის მომზადება.

4.2.8. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვა და სხვა სფეროში.

4.2.9. გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

4.2.10. კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას ქართული და არაქართული, არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების განსახორციელებლად რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

4.2.11. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, თეატრალური ხელოვნების განვითარება და ტრადიციების აღორძინება.

4.2.12. მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 12)



ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლ „გორის“ და ქალთა კამერული გუნდის ფინანსური ხარდაჭერა, რადგან მათ მიერ ხდება ქართული სამუსიკო ტრადიციების პოპულარიზაცია როგორც მთელ საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ ჩატარებული მრავალი წარმატებული კონცერტის მეშვეობით.

4.2.13. კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სუბსიდია კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის“ ადმინისტრაციული ხარჯებისათვის რომელიც ახორციელებს დამსვენებლების მომსახურებას სხვა და სხვა გასართობი საშუალებებით.

4.3. ახალგაზდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობების და ალპინიადების მოწყობა.

4.3.1. მოსწავლე-ახალგაზრდობის ტურიზმის ცენტრი „ტონთიოს“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 01)

მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით გორის მუნიციპალიტეტი გეგმავს მათ ჩართვას ტურისტულ ლაშქრობებში დანახვისში და რკონში. ასევე მოსწავლეთა ალპინიადებში ხევისურეთში მწვერვალ „ვაჟა-ფშაველაზე“, ჭაუხის მასივზე ხევისურეთში, მწვერვალ „მყინვარწვერზე“ და ჭუთხაროს მასივზე რაჭა-ლეჩხუმში, რომლის ორგანიზება ხორციელდება სპორტული ცენტრის მიერ ტურიზმის ცენტრის სუბსიდირების გზით.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

